

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,051,308	56,255
საინვესტიციო ქონება	5	-	-
ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	6	-	-
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		-	-
		1,051,308	56,255
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	446,201	191,737
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	2,047,853	1,445,275
მარაგები	9	601	-
		2,494,655	1,637,012
მთლიანი აქტივები		3,545,963	1,693,267
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		40,093	40,093
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,895,331	1,048,298
		1,935,424	1,088,391
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	780,878	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	829,661	604,876
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
		1,610,539	604,876
მთლიანი ვალდებულებები		1,610,539	604,876
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,545,963	1,693,267

დირექტორი
ეკატერინე სანაძე

15 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2022	2021
ამონაგები	13	22,559,606	10,474,241
სხვა შემოსავლები	14	-	-
		-	
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(857,710)	(616,973)
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		(20,327,170)	(9,226,548)
ცვეთა და ამორტიზაცია		(30,851)	(13,466)
იჯარის ხარჯი		(156,215)	(123,281)
ადმინისტრაციული ხარჯი		(100,167)	(51,314)
პროცენტის ხარჯი		(8069)	
სხვა შემოსავალი	14	76,513	
სხვა ხარჯი	15	(128,069)	(108,336)
მოგება დაბეგვრამდე		1,027,868	334,323
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,027,868	334,323

დირექტორი
ეკატერინე სანაძე

15 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	40,093	756,080	796,173
წმინდა მოგება	-	334,323	334,323
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	334,323	334,323
გაცემული დივიდენდი	-	(42,105)	-
2022 წლის 1 იანვარი	40,093	1,048,298	1,088,391
მოგების ზრდა	-	1,027,868	1,027,868
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,027,868
გაცემული დივიდენდი	-	(180,905)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	70	-
2022 წლის 31 დეკემბერი	40,093	1,895,331	1,935,424

დირექტორი
ეკატერინე სანაძე

15 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“ (ს/კ 405044875) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2014 წლის 23 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, წყნეთის გზატკ. N25 ის მიმდებარედ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 50% წილის მფლობელია: ნინო სანაძე და 50 % ის მფლობელია ეკატერინე სანაძე, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გადაზიდვების მომსახურების გაწევა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება N°6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2022	31/12/2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

გაუფასურების ზარალი. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აღიარდება სხვა შემოსავალში.

თუ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს ნიშანი იმისა, რომ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია შეიძლება იყოს გაუფასურებული, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მისივე ანაზღაურებად ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. შვილობილი საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აღიარდება სხვა შემოსავალში.

თუ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს ნიშანი იმისა, რომ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია შეიძლება იყოს გაუფასურებული, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მისივე ანაზღაურებად ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისიმოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

კომპანია სარგებლობს ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან მენეჯმენტის აზრით წრფივ მეთოდი სამომავლოდ უკეთ ასახავს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

მიწას აქვს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადა და შესაბამისად, მას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

შენობა-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შემდგომ, ის ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 8 წელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში. საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხვავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	ლიცენზია და საბუღალტრო პროგრამა	სატრანსპორტო საშუალება	საოფისე ფართი	სულ
31 დეკემბერი 2021	10,860	52,023	32,822	1342			97,047
შემოსვლა	-	19,160	4,532	3,390	92,540	910,130	1,029,752
გასვლა	-	(6,930)					(6930)
31 დეკემბერი 2022	10,860	64,253	37,354	4,732	92,540	910,130	1,119,869
ცვეთა და გაუფასურება							-
31 დეკემბერი 2021	(4,713)	(21,663)	(13,515)	(901)			(40,792)
პერიოდის ცვეთა	(1,229)	(2,723)	(2,848)	(363)	(13,822)	(6,784)	(13,467)
გასვლა	-	-					-
31 დეკემბერი 2022	(5,942)	(24386)	(16,363)	(1,264)	(13,822)	(6,784)	(68,561)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	6,147	30,360	19,307	441			56,255
31 დეკემბერი 2022	4,918	39,867	20,991	3,468	78,718	903,346	1,051,308

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

5. საინვესტიციო ქონება

რეალური ღირებულება 31/12/2021	0.00
-------------------------------	------

რეალური ღირებულება 31/12/2022	0.00
-------------------------------	------

6. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

	31/12/2022	31/12/2021
თვითღირებულება	0,00	0.00
სულ	0,00	0.00

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31/12/2022	31/12/2021
ნაღდი ფული სალაროში	5,056	0
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	397,809	132,213
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	43,336	59,524
სულ	446,201	191,737

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნები	2,043,002	1,437,086
გადახდილი ავანსები	4,851	8,189
სულ	2,047,853	1,445,275

9. მარაგები

	31/12/2022	31/12/2021
საწვავი	601	-
სხვა მარაგები	-	-
სულ	601	-

10. სესხები

	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი		
საბანკო სესხი	780,878	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სულ სესხები	780,878	-

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	817,558	579,614
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	-	9,901
მიღებული ავანსები	12,103	15,361
სულ	829,661	604,876

12. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები	31/12/2022	31/12/2021
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	-	-
სულ	-	-

ფინანსური ვალდებულებები	31/12/2022	31/12/2021
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	-	-
სულ	-	-

13. ამონაგები

	2022	2021
შიდა გადაზიდვები	75,024	39,167
საერთაშორისო გადაზიდვები	22,484,582	10,435,074
სულ	22,559,606	10,474,241

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

14. სხვა შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	-	-
ზარალის ანაზღაურება	-	-
არასაოპერაციო მოგება	76,513	-
სულ	76,513	0

15. სხვა ხარჯები

	2022	2021
კომუნალური ხარჯები	(4,786)	(4,617)
საკანცელარიო ხარჯები	(33,815)	(33,104)
მივლინების ხარჯები	(37,371)	(21,267)
ბანკის საკომისიო	(34,502)	(41,246)
სხვა ხარჯები	(17,595)	(8,102)
სულ	(128,069)	(77,086)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმო.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,051,308	56,255
საინვესტიციო ქონება	5	-	-
ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	6	-	-
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		-	-
		1,051,308	56,255
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	446,201	191,737
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	2,047,853	1,445,275
მარაგები	9	601	-
		2,494,655	1,637,012
მთლიანი აქტივები		3,545,963	1,693,267
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		40,093	40,093
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,895,331	1,048,298
		1,935,424	1,088,391
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	780,878	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	829,661	604,876
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
		1,610,539	604,876
მთლიანი ვალდებულებები		1,610,539	604,876
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,545,963	1,693,267

დირექტორი
ეკატერინე სანაძე

15 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2022	2021
ამონაგები	13	22,559,606	10,474,241
სხვა შემოსავლები	14	-	-
		-	-
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(857,710)	(616,973)
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		(20,327,170)	(9,226,548)
ცვეთა და ამორტიზაცია		(30,851)	(13,466)
იჯარის ხარჯი		(156,215)	(123,281)
ადმინისტრაციული ხარჯი		(100,167)	(51,314)
პროცენტის ხარჯი		(8069)	
სხვა შემოსავალი	14	76,513	
სხვა ხარჯი	15	(128,069)	(108,336)
მოგება დაბეგვრამდე		1,027,868	334,323
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,027,868	334,323

დირექტორი
ეკატერინე სანაძე

15 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ემ-ეს-სი-ეს ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	40,093	756,080	796,173
წმინდა მოგება	-	334,323	334,323
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	334,323	334,323
გაცემული დივიდენდი	-	(42,105)	-
2022 წლის 1 იანვარი	40,093	1,048,298	1,088,391
მოგების ზრდა	-	1,027,868	1,027,868
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,027,868
გაცემული დივიდენდი	-	(180,905)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	70	-
2022 წლის 31 დეკემბერი	40,093	1,895,331	1,935,424

დირექტორი
ეკატერინე სანაძე



15 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

